დამიტრი ძლივსლა სუნთქავედა
ორთავ თვალიაღამებულის.
გვერდით მოუჯდა მებრძოლ ქმარს
ტყვე ქალი ხელმეგახსნილი,
მაგრამ სახეზე გადევრა
კვლავ მწუხარების აჩრდილი.
„დიმიტრი, მე რომ დამიხსენ,
შენ რატომ გტანჯავს ტკივილი!
ნეტავე შემეძლოს ამ წუთში
წამით დავთრგუნო სიკვდილი.
ბავშვის შესახებ რა იცი,
თუ ცოცხალია, სად არის?
ვის პერქვეშ ბრწყინავს ლამაზი
მისი სიციცხლის ლამპარი?“
წამოიწია დიმიტრიმ,
ფართოდ გაშალა მკლავები,
მიტიას გაგონებზე
კვლავ წამოენთნენ თვალები.
უთხრა: „მიტია დავითთან
საქართველოში იბრძდება...“



მეტის თქმა ვეღარ მოასწროს
ველარ თქვა: მამულს დიდება!
წენარად დახუჭა თვალები,
ჩაქრა სიციცხლის კანდელი,—
და მტერზე გამაოჯგვებისა
პირს დაეფინა ნათელი.
ოლგასთან ერთად დიმიტრის
გლოვობდნენ პარტიზანები.
ხელში ეჭირათ დროშები,
წელს ერტყათ სავსე ვაზნები.
იმ დღეს რომ მტერი გაუღიტეს,
დაეცა ბევრი მათგანიც.
დავითის ახლო ნაცნობი
კაკი არ დარჩა არავინ.
დარდობდნენ, ოლგას ვერ უთხრეს
დავითის გვარი ნამდვილი...
და ოლგა მასზეც ჯავრობდა
როგორ ენახა ყმაწვილი.



6.

მტერს ვძლიეთ... ახლა მის ბუნავს
მოედო ომის ხანძარი,
გამზიარულდა ლამაზი
უკრაინელთა სახლ-კარი.
კვლავ გაიცინეს სოფლებმა
ტყემლის და ვაშლის ყვავილით.—
და უკრაინულ ბუხრებში
ფართვავით ამოვარდნილი,
აფრინდა კვამლი ზეცაში
რგოლებად გადაჯაჭვული,
კვლავ სიხარულის კარები
გაიღო გადარაზული.



7.

ოლა მიტიას დარდობდა,
სახლში არ დარჩა არავინ...
ყოველღამ ესიზმრებოდა
გმირი მეუღლის საფლავი.
არ ასვენებდა პირმშოზე
ფიქრები, სხეებიც ამჩნევდა:
სწყუროდა შვილის ალერსი...
და სახლში ვეღარ გაჩერდა.
დატოვა უკრაინაში
მან მშობლიური სოფელი,—
და ჩამოვიდა თბილისში
გულში დარღიაუქრობელი.
სურდა მიტია ენახა,

ტკბებოდა შვილზე ოცნებით, —
მთაწმინდის ძირში მის ოთახს]
შეელურტულდნენ ფრთოსნები.
და როცა დილით მის ეზოს
ჩამოუვლიდნენ ბავშვები
პიონერულად მორთულნი,
წიგნებით საესე ჩანთებით,
დაფიქრდებოდა და გულში
ნალღველი აღარ ქრებოდა:
ყოველთვის მათ შეხვედრახე
მიტია ელანდებოდა.

8.
ესე ცხოვრობდა თბილისში
ოლაგა ფიქრების ამარა.
რა ექნა, ყველგან სკოლაში
ეძებდა თავის პატარას.
მან არ იცოდა დავითის
არც მისამართი, არც გვარი,
ვერც თვითონ ნახა თბილისში
მან პარტიზანი ამგვარი.
და როცა ვაზაფხულის პირს
გამოიფოთლენ ბუჩქები
და ყვავილებით დამშვენდა
თბილისის მწვანე ქუჩები,

როს დააფინა მთა და ველს
შემე ცხრა მაისის ნათელი
და რადიოთი ამბობდა
სიტყვის საშობლოს მფარველი;
როცა ქუჩებში ზეიმით
ზღვა ხალხმა ჩამოიარა,
ოლგას გაეხსნა გუნება
და დარდმაც გადაუარა.
მიჰყვა ქუჩებში ხალისით
მშრომელი ხალხის დინებას
და სიმღერებში ესმოდა
საშობლო ქვეყნის დიდება.
ბოლოს, როდესაც ზეიმზე
ლექსებს ამბობდნენ მალხაზნი,
წარჩინებული ბავშვები
დარბაისლური თავაზით,
ოლგას მოესმა უეტრად
შვილის გვარი და სახელი, —
სიხარულს ველარ იტვედა
შვილის უეტრად მნახველი.
აფარდა დიდ ტრიბუნაზე,
წამწამიც კი არ შეხრია,
შესძახა ბელადს დიდება, —
და პირშოს გადაეხეცა.



სამოქალაქო ომის გამოჩენილი გმირი ნიკოლოზ შიორსი დაიბადა ქ. სნოვსკში (უკრაინა) 1895 წელს რუსიების ღებოს შემანქანე ქაზაკის ოჯახში.

ნიკოლოზი უწყინარი და კვიციანი ბავშვი იყო. მისი ლამაზი, ცისფერი თვალები მიმზიდველად გამოიყურებოდნენ. ფართო თეთრი შუბლზე რბილად ეყარა ბუქუქი თმები. ვაჩიშვილი მშობლებმა სოფლის სკოლაში მიიბარეს. ბავშვს ყველაფერი აინტერესებდა, ცდილობდა ყველაფერი გაეგო. იგი გატაცებით კითხულობდა წიგნებს. სასწავლებელი ოთხებზე და ხუთებზე დაამთავრა, მიუხედავად სიღარიბისა და გაჭირვებისა.

14 წლის ნიკოლოზი, მეტრიკული ამონაწერი და რამდენიმე მანეთით ხელში, კიევისკენ გაემართა, სამხედრო საფერწლო სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად. თუმცა გამოცდები საუეთესოდ ჩააბარა, მაგრამ მაინც დიდი წყალების შემდეგ მიიღეს.

1912 წელს ნიკოლოზმა დაამთავრა სამხედრო-საფერწლო სკოლა. მისი ცდა შესულიყო მოსკოვის უნივერსიტეტში, უმედევად დამთავრდა. ამიტომ 1913 წელს იგი შედის პოლტავის სამასწავლებლო სკოლაში, სადაც სწავლასთან ერთად ეწევა ნაყოფიერ რევოლუციურ მუშაობას. 1914 წელს ნიკოლოზი იმპერიალისტურ ომში გაიწვიეს როგორც სამხედრო ფერწალი.

1917 წლის მაისში დაპირალი, ნეკნებჩამტრეული და ტუბერკულოზით დაავადებული შიორსი მშობლიურ სნოვსკში დაბრუნდა. დედამ ვეღარ იცნო თვალმხატვრისად, ფერმკრთალი, ფარაჯამოსმული ჯარისკაცი. უკრაინაში მაშინ უკვე გერმანელი დამპყრობლები დათარეზობდნენ. სთელაუნდენ ქალაქებსა და სოფლებს, აწიოყებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. შიორსმა სნოვსკში ჩასვლისთანავე მოაწყო რევოლუციური კრებები, სადაც იგი მკვნიებარე ბოლშევიკური სიტყვებით გამოდიოდა. ამხელდა იმპერიალისტური ომის მტაცებელურ ხასიათს, მკვეთრად ომის საშინელებას და დროებითი მთავრობის გამცემლობას.

უკრაინელი ხალხი აღსდგა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ჩნდება პარტიზანული რაზმები. შიორსი სათავეში ჩაუდგა ერთ-ერთი ასეთ რაზმს, რომელიც შემდგომ დივიზიად გადაიქცა. ყოველი მხრიდან მოდიოდნენ ამ ნიჭიერ გეომართან და ლეგენდარულ გმირთან მტრისადმი შურისგებით აღესილი უკრაინელები. ახალგაზრდა შიორსს პარტიკულტურის ნიშნად „შია ნიკოლას“ და „მამას“ ეძახდნენ. შიორსი, ეს უკრაინელი ჩაბავეი, რისხვად ევლინებოდა მტერს. ხშირად



სამოქალაქო ომების გმირი ნ. შიორსი

არად საქმარისი იყო მისი სახელის გავრენება, რომ მტერს ზურგი ექცია.

მტერმა ვეღარ გაიძლია შიორსის შემოტევას და უბრძოლველად დასტოვა კიევი. 1919 წლის ხუთ თებრივალს ბოგუნის ათასეული შიორსის ხელმძღვანელობით კიევიში შეიქცა. შიორსი ქალაქის კომუნდანტად დაინიშნეს. იგი დაჯილდოებულ იქნა ოქროს საპატიო იარაღით. ივლსში მტერმა მანველი ძალები მიიღო. შიორსი სამივე მხრიდან იყო გარშემორტყმული. წიფელ არმიასთან შესაერთებლად ჩრებოდა ერთი გზა, ეს იყო კოროსტენი. შიორსმა ბრძანება გასცა შეუნარუნდინა იგი. ლეგენდარული გმირი მოწინავე პოზიციაზე იბრძოდა. იგი განგმირა მტრის ტყვიამ. საყვარელი მეთაურის სიკვდილი ელვის სისწრაფით გაიგეს ჯარისკაცებმა, მაგრამ არ დაბნულან. „გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას, გაოძარჯოს ლენინს!“ — გაისმა იერიშზე გადასულ ჯარისკაცთა ხმა. ბრძანება, — დაეცვათ კოროსტენი, — შესრულდა.

სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი ნიკოლოზ შიორსის სიყვარულით იგონებს საბჭოთა ხალხი.

თეგარ სავაიი



ნ. ხინინა

სწავლასა და სპორტში გამარჯვებულნი



გ. გვიშვილი

ორ იელისს მრავალრიცხოვანი მყურებელი მიაჩნია. და თბილისის ლ. პ. ბერაის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე. ლოზუნგებითა და ფერადი სპორტული აღმშენებელი სადღესასწაულოდ მორთული ტრიბუნები მყურებლებით აივსო. ამ დღეს ამ მოსწავლეთა მესამე სასაფხულო სპარტაკიად გაიხსნა, და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულ 1000-მდე ნორჩ სპორტსმენს თავისი სპორტული ოსტატობა უნდა ეჩვენებინა.

დაიწყო მონაწილეთა პარადი. მოდიოდნენ ლაღად მხარჯაული, თვალციმციმა გოგონები და ბიჭები. კოლონების წინ რესპუბლიკის ჩემპიონებისა და რეკორდსმენების ჯგუფს მოჰქონდა სპარტაკიადის გარდაამავალი წითელი დროშა. კოლონები დასავლეთის ტრიბუნის წინ მოეწყვნენ. სპარტაკიადის მონაწილეებს მიესალმა და წარმატება უსურვა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ი. ბეროზაშვილმა.

უძლიერეს სპორტსმენთა ჯგუფმა სპარტაკიადის გახსნის ალაში აღმართა. სპარტაკიადა დაიწყო.

სულ დღეს ვერძელდებოდა დამაბული ბრძოლა პირველობისათვის, ჩემპიონისა და რეკორდსმენის საპატიო სახელის მოსაპოვებლად. შეჯიბრებები ჩატარდა ტანვარჯიშში, მძლეობაში, ჩოგბურთში, კალათბურთისა და სხვა სახეობებში. დამატებულ იქნა რვა ახალი რესპუბლიკური რეკორდი.

სპარტაკიადის ყველაზე უმცროსმა მონაწილემ თბილისის ქალთა 21-ე სკოლის VII კლასის მოსწავლე გულიტა ოდილაკაემ გამარჯვა თარგზებში. მან 80 მეტრი 13.4 წმ. ში გაიბრინა და დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი.

გ. ოდილაკაე



თარგზებში ახალი რესპუბლიკური რეკორდებია დაამყარეს სტალინირებმა ოლეგ მამონოვმა (110 მეტრი მანძილი 16,8 წამში დასძლია) და თბილისის ვაჟთა 21-ე სკოლის კურსდამთავრებულმა მ. გუგულავამ (200 მეტრიან მანძილზე რბენაში პირველი მიიქცა ფინიშთან).

წიკოლომეტრზე სპორტულ სიარულში კვლავ თავი ისახელა და ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა საქართველოს რეკორდსმენმა თბილისის მე-13 ვაჟთა სკოლის მოსწავლე მიხეილ თბილენტიძემ. მანძილი 34 წუთსა და 54,8 წამში გაიარა.

გოგონებს შორის შუბის ტურცნაში ყველაზე მეტად დაწინაურდა და ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა მოსწავლე ქუჩაკეშ (აფხაზეთი). მან შუბი 31 მეტრსა და 90 სანტიმეტრზე ტურცნა.

ყუმბარის ტურცნაში ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა ზემოსვანეთიდან ჩამოსულმა მოსწავლემ ი. წერტილიანმა. ყუმბარა 67 მეტრსა და 81 სანტიმეტრზე გასტყორცნა.

სპარტაკიადის გამარჯვებულთა შორის არიან: თბილისის ქალთა 22-ე სკოლის XI კლასის მოსწავლე სპორტის ოსტატი ნადია ხეიკია (გოგონებს შორის სიგრძეზე სტომაში პირველობა აიღო), თბილისის ვაჟთა მე-2 სკოლის XI კლასის მოსწავლე მურმანა გეგვიშიძე (100 მეტრზე რბენაში. ვაჟთა შორის, პირველობა აიღო), თბილისის მე-16 ქალთა სკოლის ფრიადოსანი მოსწავლე ლამარა კოკია (პირველობა აიღო გოგონებს შორის ჩოგბურთში), თბილისის ვაჟთა მე-11 სკოლის X კლასის მოსწავლე ჩახუნაშვილი (პირველობა აიღო ჩოგბურთში ვაჟთა შორის), თბილი-

სის ვეთა 27-ე სკოლის X კლასის მოსწავლე გურამ ახათიანი (პირველობა აიღო ქოკით ტომში). სპარტაკიადაზე კიდევ მრავალმა მოსწავლემ გამოავლინა თავისი სასურველი ლიტერატურული მოწოდებები და შესრულებების მაღალი კლასი.

6 თვის ს. ორგანიზაციის სახელობის კულტურისა და დახვეწების ცენტრალური პარკის საწარმოლო თეატრის შენობაში სპარტაკიადის დამთავრებისადმი მიძღვნილ სწავლაზე კვლავ შეიკრიბნენ ნორჩი სპორტსმენები. აქ გამარჯვებულებს გადაეცათ სიგე-

ლები და ფასიანი საჩუქრები. სპარტაკიადის გარდაშვალა წითელი დროშა გადაეცა თბილისის კოლექტივის, რომელმაც საერთო გუნდური პირველობა მოიპოვა, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ჯილდო — გარდამავალი თასი კვლავ თბილისელ მშრომელსანთა გუნდმა შეინარჩუნა.

სწავლისა და სპორტის წარჩინებულნი ახლა საკავშირო შეჯიბრებისათვის ემზადებიან.

ბ. სარიშლი



მ. გორკის მუზეუმი გერინგსდორფში

გერინგსდორფი პატარა საკურორტო ქალაქია დემოკრატიულ გერმანიაში. იგი მდებარეობს ბალტიის ზღვის ნაპირას. 1922 წელს დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი, ტუბერკულოზის გართულების გამო, გერინგსდორფში ჩავიდა სამკურნალოდ. აქ გორკიმ რამდენიმე თვე დაჰყო. ცხოვრობდა „ირმგარდის“ ვილაში. გერინგსდორფში დიდი რუსი მწერლის ყოფნის მოსაგონებლად, გერინგსდორფის მცხოვრებთა ინიციატივით,

ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა მაქსიმ გორკის სახელი, ხოლო „ირმგარდის“ ვილის ის ოთახები, რომელშიც მაქსიმ გორკი ცხოვრობდა, გადაკეთდა გორკის მუზეუმად. ორსართულიანი შენობის მეორე სართულს მიკრული აქვს მარმარილოს დაფა. ამ დაფაზე გერმანულ და რუსულ ენაზე ამოკვეთილია: „1922 წელს აქ ცხოვრობდა დიდი პროლეტარული რუსი მწერალი მაქსიმ გორკი“.


მოწყობილობა ოთახებში იმავე წესრიგით არის განლაგებული, როგორც მაქსიმ გორკის იქ ყოფნის დროს იყო. ვერანდაზე დგას რბილი ტახტი, რომელზედაც გორკის უყვარდა დასვენება. მახლობლად დგას საწერი მაგიდა. ამ მაგიდაზე გორკი მუშაობდა. ყვავილებით გარემორტყმულ კვარცხლბეკზე დგას გორკის ბიუსტი. კედლებზე ჰქვია მწერლის ცხოვრების ცალკეული ეპიზოდების გამომხატველი ფოტოები და სურათები. მუზეუმში წარმოდგენილია მ. გორკის ნაწარმოებთა ილუსტრაციები.

მინის ხუფის ქვეშ ინახება გერინგსდორფის მუზეუმის ყველაზე ძვირფასი ნაშთი — სასტუმრო წიგნი, რომელზედაც მაქსიმ გორკის ხელით არის წარწერილი: „ვაჟა დრო, და ყოველივეს მიუხედავად, აღამიანება მაინც იცხოვრებენ როგორც მშებნი“.

იგივე სიტყვები დაწერილია გერმანულ და რუსულ ენაზე მუზეუმის ერთ-ერთი ოთახის კედლის მთელ სიგრძეზე.

გერინგსდორფის მოსახლეობის ყურადღება რუსი ხალხის დიდი შვილის ხსოვნისადმი კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული გერმანიის ხალხთა შორის მშური კავშირისა.

ნ. მაჟურინი





Qუმცა გამოცდილმა, მოხუცმა მონადირემ ასატურამ, როგორც თვითონ ამბობდა, ზეპირად იცოდა ბუნების წიგნი, მაგრამ ამ გაზაფხულზე მგლებმა მათ კოლმეურნეობის ცხვრის ფარებს დიდი ზარალი მიაყენეს. გამოცდილმა მონადირემ ვერავითარი საშუალება ვერ გამონახა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ეს მისი დანაშაული არ იყო, მართლაც ძნელია დღისით მგლის პოვნა და მისი მოკვლა.

ერთ დღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თავისთან მოიხმო ახალგაზრდა მონადირე არმენა და ჰკითხა:

— რას ფიქრობ, ბიჭო არმენ, მაგ მგლების შესახებ? სანამ მამაშენი ცოცხალი იყო, მე დამშვიდებული ვიყავი, ახლა შენ დარჩენილხარ და ერთიც ბაბუა ასატურა.

ახალგაზრდამ თავი ჩაღუნა და მორცხვად უბასუხა:

— ერთი რამ მოვიფიქრე, ვნახოთ შევძლებ თუ არა!

— თითო მგელში ათ შრომა დღეს მოგცემ, დე, ეს გლებებიც მოწმენი იყვნენ.

— უმაგისოდაც გავაკეთებ, თუ შეეძელი! — მორიდებით უბასუხა ყმაწვილმა, ზევით აიხედა და განავრძო: — თუ შეიძლება გაციით განკარგულება, სამი დღით კოლმეურნეობის ფერმიდან ერთი გოკი მომცენ.

შაბათ დღეს, გაკეთილებს შემდეგ, არმენა მხარზე თოფგადაკიდებული, ორი ხაფანგით ხელში გაეშურა კოლმეურნეობის ფერმისაკენ. იქ იყო მონადირე ასატურაც, მაგრამ იგი არმენას დაეშალა და არ გამოჩენილა. ახალგაზრდა მონადირეს ერთი გო-

კი და ერთიც ყუთი მისცეს. არმენამ გოკს ფეხში ბაწარი გამოაბა და ყუთში ჩასვა, ზემოდან სახურავი დაამაგრა, ყუთი ილღიაში ამოიღო და გაუდგა გზას ტყისკენ.

— უკან ნუ მომყვებით! — უთხრა მან კოლმეურნეებს, რომელნიც დაინტერესებულნი მისდევდნენ უკან.

ტყეში არმენამ ყუთი ერთ ხეზე ჩამოკიდა, ხის ქვეშ ორმოები ამოთხარა და ხაფანგები ორმოებში ჩამალა, თვითონ კი იქვე წიწვიან და ხშირტოტებიან ხეზე ავიდა და იქ მოჰკალათდა; თოკი, რომელიც ხეზე დაკიდებულ ყუთში გოკს ჰქონდა ჩაბმული, ბოლოთი ხელში დაიჭირა და დაიწყო ზოლინი.

შუა ღამე მოახლოებული იყო, როდესაც არმენამ თოკი გამოსწია, ყუთში გოკმა კვიცილი დაიწყო. თოკი გოკს აწუხებდა და ამიტომ ხმაილა გაჰკიოდა. სულ მალე მგლებმა მოირბინეს და ხის ქვეშ დაიწყეს კუნტრუში და მალა ხტომა. ცდილობდნენ გოკს მიწვდომოდნენ და შეეპამათ იგი.

ყმაწვილი ხიდან გულისფანცქალით თვალყურს ადევნებდა ამ სურათს და ელოდა, თუ რა მოხდებოდა; არმენა ხედავდა სიბნელეში ცივად მოელვარე ცეცხლოვან თვლებს და შიშისაგან ლამის აკაცაქაბდა: მგლები საღერელელაშლილი გარშემო უვლიდნენ ხეს და მწარედ ღმუოდნენ.

სიბნელეში მოისმა ხაფანგის ჩხაკუნი. ერთი მეელი გაება ხაფანგში და გულშემზარავად დაიწყო ღმუილი.

„რა კარგია, ფეხით გაება...“ გაიფიქრა არმენამ და სიბნელეში შეამჩნია მგლების ჯგუფი თავს როგორ დაესხა ხაფანგში გაბმულ მეელს და როგორ დაუწყეს წევვა.

„სტამენ დაპერილ ამხანაგს“... გაიფიქრა არმენამ და სანადირო თოფის ორივე ლულიდან ესროლა მგლებს ხროვას.

შორს მოისმა ძაღლების ყეფა, ყუთში კი გოჭი განაგრძობდა ჭყვივლს. არმენამ შენიშნა ხის ქვეშ გაშხლართული სხეულები და ესმოდა მათი ხრიალი. მაღლა აიწია, კენჭეროზე და რაც ძალა და ღონე ჰქონდა შორსო ყვირილი:

— ბაბუა ასატურ... ბაგრატ... მოდი, მოდი, მგლები დავხოცე! მოდი... მალე... მალის სიჩქმეში არმენას ხმა ზარით სქექდა, რომელსაც ხანს აძლევდა არემარე. ხმამ მიაღწია ასატურამდე და სულ მალე მოისმა პასუხიც:

— მოვდივართ, მოვდივართ! არ შეგეშინდეს, მოვდივართ...

ძაღლები ყეფით მოცვივდნენ, მათ მოსდევდნენ კოლმურნეობის მწყემსები გრძელი კომბლებით. ბოლოს მოვიდა ასატურაც.

— ახლოს არ მიეკაროთ, მგლები დაპრილებიც არიან!—ხიდან ჩამოსძახა არმენამ.

ერთმა მწყემსმა გამხმარ ფოთლებს ცეცხლი წაუქიდა და კოცონი აავიზიგო, ირგვლივ არემარეს ნათელი მოეფინა.

— ბიქოს, ორია, მერე და რამოდენებია ეს დაწყველილები!—წამოიძახა ვილაცამ.

კოცონი გააძლიერეს, ჩამოიღეს ყუთიც მქვირალა გოჭით.

მონადირე ასატურა, რომელიც ხმას არ იღებდა და გაკვირებული უყურებდა ამ



სურათს, წინ წამოდგა, მოეხვია ყმაწვილს, გადაჰკოცნა და შეაქო:


— მამის შეილია და... ამის მზეს ვენაცვალე, დევმირია! მთელ ქვეყანად მიიღის...

ერთ წამს გაჩუმდა, მოაგონდა თავისი მეზობელი ვანო—არმენას მამა და თვალები ცრემლებით ავესო. მის წინ, კოცონთან ახლოს იდგა თავისი მონადირე ამხანაგის შვილი, ვანოსავით ფართე მხარბეჭიანი, გულადი და უშიშარი.

და მოხუც მონადირეს ეგონა, რომ არ მომკვდარა მონადირე ვანო, ის არის, ის ცოცხლობს თავის მემკვიდრის არმენას სახით...

თარგმანი სომხურიდან პ.ბ. ლავითიანისა





მთანმინდა


მატერები როდესაც თბილისის ხედს ხატავენ, მათი სურათების ფონზე თითქმის ყოველთვის ჩანს მთაწმინდა, ფუნიკულორის ზედა სადგურის გამობატულებით. მთაწმინდა ფუნიკულორითურთ იმდენად დამახასიათებელია თბილისისათვის, რომ უიშისოდ თბილისის ხედის სურათი თვალს ეჩოთირება.

ვინც თბილისს პირველად ნახულობს, იგი თბილისში შესვლისთანავე, პირველყოფლისა, უნებურად ყურადღებას მთაწმინდას მიჰქცევს, რომელსაც თავზე ქუდივით წამოდებული აქვს ფუნიკულორის ზედა სადგურის ლამაზი შენობა და მაღალ გულსპირს კი ვერცხლის ზოლივით გავლებული ფუნიკულორი* უმშვენებს.

განსაკუთრებით ლამაზია მთაწმინდა ღამით. ამ დროს მის გულსპირზე განლაგებული ელექტრონათურები მოელვარე ოქროს დიუმბივით ციმციმებენ, ხოლო მთაწმინდის პლატო, უამრავი ელნათურებით გაჩინადნებული, ზღაპრულ ქალივით ჩანს თბილისის თავზე. ამ სურათის ხილვით მოხიბლულ სტუმარსა თუ თბილისელს უნებურად მოუნდება მაღალ—მთაწმინდის პლატოზე ასვლა... აქ კი უფრო მომხიბველი სიმშვენიერე იშლება თვალწინ. მთელი პლატო წარმოადგენს ულამაზეს პარკს, რომელსაც მიკუთვნებული აქვს დიდი სტალინის სახელი. ფუნიკულორის ზემო სადგურიდან პირდაპირ პარკის სიღრმეში მიემართება ფართო გზა. გზა უერთდება მოედანს, რომელზედაც აღმართულია დიდი სტალინის მონუმენტი. პარკი გვეგვიანად არის დიქსელილი წვრილი და ფართო ზგებით. გზებს შორის ნაკვეთები დეკორაციული ხეებით, ბუჩქებითა და ყვავილებით არის დამშვენებული. დეკორაციულ მცენარეთა სიმწვანეში განლაგებულია: საკონცერტო ესტრადი, საცეკვაო მოედანი, ტირი, საქანელები, კარუსელი, კიოსკები და სხვადასხვა გასართობები. ფუნიკულორის ზედა სადგურის დიდ შენობაში, გარდა სადგურისა, მოთავსებულია სამკითხველო, საქარავანო-სამაშო ოთახები, რადიოგადაცემის კვანძი (საკუთრად პარკისათვის), ბავშვთა ოთახი; ამავე შენობაშია მოწყობილი სუფთა, დიდი რესტორანი.

* ფუნიკულორი უცხო სიტყვაა და ქართულად საბავარი რკინიგზას ნიშნავს.

ლამაზია მთაწმინდის პლატოზე გაშენებულ
ლი სტალინის სახელობის პარკი. მაგრამ თუ
ამ პარკიდან დღისით თბილისს დახედავთ,
არ შეიძლება თავდავიწყებამდე არ აღვეფრთო-
ვანდეთ: მთელი თბილისი — ჩვენი დედა-
ქალაქი როგორც ხელის გულზე ისე ჩანს,
ისე დასტურით მთელ ქალაქს, როგორც გა-
დაშლილ ლამაზ, მომჯადოებელ სურათე-
ბიან დიდ წიგნს, და არ იცით თვალს რომელ
სურათზე, რომელ სიმშვენიერზე შეაჩე-
როთ. თუ ღამით დახედავთ თბილისს, თქვე-
ნი აღტაცება ასეთივე განცვიფრებით შეიცვ-
ლება: ახლა თბილისი ისე ჩანს, თითქოს
თქვენს ქვემოლ გადმოპირქვაებულ ცა-
იყოს, უფრო ხშირი და უფრო ციმციმა ვარ-
სკელავებით მოქედლი. ასეთ სურათს სხვა-
გან მხოლოდ თუ წარმოიდგენს ადამიანი,
ისიც ფანტაზიის მქონე ადამიანი, თბილისში
მთაწმინდიდან ასეთ სურათს ნამდვილად
ხედავთ. ამიტომ არის თბილისელთათვის სა-
ყვარელი დასასვენებელი ადგილი მთაწმინ-
დის პლატოზე გაშენებული პარკი. ამიტომ
მოისწრაფვის აეთიქენ დიდი და პატარა.



საქანელა

კლდეებისაგან. პარკის მშენებლებმა მთელი
ფართობი დაგეგმეს, დაწყვეს ნაკეთებლად და
შეუდგნენ დიდი რაოდენობის მცენარეებისა
რგვას. დაიწყეს პარკისათვის საჭირო შენო-
ბათა შენება, მოედნების მოწყობა. ფუნჯე-
ლორის ზედა სადგურის ძველი პატარა შე-
ნობა დაახვარეს და მის ნაცვლად აგებულ
იქნა ახალი დიდი ლამაზი შენობა, რომელიც
ახლა ასე თავომწონედ გადმოსცქერის თბი-
ლისს. რეკონსტრუირებულ იქნა ფუნჯე-
ლორის ძველი სადგური და მთელი საბავრიო
რკინიგზის ხაზი. გაყვანილი იქნა საავტო-
მობილო გზა კოჯორის გზატკეცილიდან პლა-
ტომდე. შეაქეთეს ის საცალფეხო ბილიცი,
რომელიც ბესიკის ქუჩის ერთგვარ გაგრძე-
ლებას წარმოადგენს და რომლითაც მსურვე-
ლები ფეხით ადიან ქალაქიდან პლატოზე.

დიდი მუშაობა ჩატარდა მთაწმინდის პლა-
ტოს კეთილმოწყობისათვის. ამ მუშაობას
პირდაპირ მეთვალყურეობდა ლავრენტა
ბერია.

1938 წლის ზაფხულში გაიხსნა მთაწმი-
ნის კულტურისა და დასვენების პარკი. პარ-
კის გახსნის დღე თბილისელთა ზეიმად იქცა.
80 ათასამდე ქალი და კაცი, დიდი და პატა-
რა ავიდა იმ დღეს მთაწმინდაზე. იმ დღიდან
პარკი თბილისელთა საყვარელ დასასვენე-
ბელ ადგილად იქცა.

პარკში ზაფხულში საგრძნობლად გრი-
ლა. ზღვის დონიდან იგი 700 მეტრის სი-
მაღლიზე მდებარეობს, ბერიას სახელობის
მოდინიდან — 300 მეტრზე. ამის გამო პარ-
კში ყოველთვის საამო ნიაგი ჰქრის, განსე-
კუთრებით საყურრობრო (ყოჯარა-მანგლი-
სის) ზონიდან.

ახლო წასრულში მთაწმინდის პლატო
მოუწყობელი თავგასართობი ადგილი იყო,
უმთავრესად ლხინის მოყვარული ახალგაზრ-
დობისათვის. აქ იღვა ოთხიოდე სამიციტრო
და უწესრიგოდ დარგული რამდენიმე ძირი
ხე. სამიციტროებსა და ხეების ძირას მაგიდები
იყო გაშლილი და ღვინის მოყვარული ადა-
მიანები ქეიფობდნენ. მიდამოს მყუდროებას
უფროთხმდა მოქეიფეთა სიმღერა და არღ-
ნების ხმა. რაიმე კულტურული მნიშვნელო-
ბა მაშინ მთაწმინდის პლატოს არ ჰქონია.

ორმოცდათი წლის წინათ მთაწმინდის
პლატო მიშველ ადგილს წარმოადგენდა. ეს
ადგილი, ექსპლოატაციის მიზნით, ქალაქისა-
გან შეისიდა ბელგოელ კამიტალისტთა სა-
ზოგადოებამ. პლატოსთან ქალაქის დასაკავე-
შირებლად საზოგადოებამ 1904 წელს გაიყვა.
საბავრიო რკინიგზა—ფუნჯელორის. ვაჭ-
რობისა და მოგების მიზნით მოაწყო სამი-
ციტროები და არაკულტურული გასართო-
ბები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევო-
ლუციის შედეგად ბელგოელ კამიტალისტთა
საზოგადოებამ დაჰყარა თავისი კერძომესა-
კუთრული უფლება მთაწმინდის პლატოზე.
პლატო კვლავ ქალაქის საკუთრება გახდა.

1933-34 წლებში ქართული ხალხის სა-
ამაყო შვილის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას
ინიციატივით მთაწმინდის პლატოზე დაიწყო
კულტურისა და დასვენების პარკის დიდი მშე-
ნებლობა. სამიციტროები დაანგრიეს, პლა-
ტო გაშენდით იქნა ზედმეტი ლოდებისა და

პარკის საერთო ფართობი 152 ჰექტარამდე აღწევს. აქედან მშრომელთა დასასვენებლად მხოლოდ პარკის ცენტრალური ნაწილია მოწყობილი, პარკის დანარჩენი ნაწილი მთაწმინდის კლდეან ფერდობებზეა დაფენილი და მას უმთავრესად მთის კალთების გამწვანების მნიშვნელობა აქვს.

პარკის ფართობი ყოველწლიურად იზრდება. მის გარშემო ყოველ გაზაფხულზე 40 ათასამდე ძირ ხესა და ბუჩქს რგავენ.

მშრომელთა გარდა პარკში ზაფხულობით ათასობით ბავშვი ისვენებს. ბავშვებისათვის აქ მოწყობილია საბავშვო სახლი, მოედნები და სხვადასხვა გასართობები. ტარდება ბავშვთა მასობრივი სეირნობები. ეწყობა წარმოდგენები თოჯინებისა და მოზარდ მსაყურებელთა თეატრების მსახიობების მონაწილეობით.

სამართობით პარკში ფიზკულტურული მუშაობა სწავრბობს. ეწყობა მოსწავლეთა შეჯიბრებები თხილამურებითა და ციგებით გაღარბენაში.

პარკს ქალაქი უკავშირდება საბავშვო რკინიგზით (ფუნქციონარით), საავტომობილო გზით კოჯრის გზატკეცილიდან და საცალფეხო ბილიკით, რომელიც ბესიკის ქუჩის დასასრულში იწყება.

სტალინის სახელობის მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკი თბილისის თეატრისა და ზაფხულობით ბევრი ექსკურსანტი აწყდება ამ პარკს. იგი ერთნაირად მიმზიდველია როგორც თბილისელთათვის, ისე სტუმართათვის.

ბორის ბათანელი



ამერიკული სამოთხე ძალღებისათვის

ამერიკულ გაზეთებში ხშირად იბეჭდება ხოლმე ცხოვრების იმის შესახებ, რომ პატრონმა ანდერძით დიდი მეგვირდრეობა დაუტოვა... თავის საყვარელ ძალღს. ნიუ-იორკსა, ჩიკაგოსა და ჰოლივუდში სისტემატურად ეწყობა მდიდართა ძალღების სპეციალური გამოფენები. ახლახან ერთ-ერთ ასეთ გამოფენაზე რომელიღაც შანჯირმა გააგზავნა თავისი ძალღი (ბულდოგი) ძვირფას ბეწვეულით მორთული და ოქროსა და ბრილიანტის მოსართავეებით მოკაზმულს.

ნიუ-იორკის 57-ე ქუჩაზე არსებობს სპეციალური მაღაზიები, რომლებიც განკუთვნილია იმ „მყიდველთათვის, რომელნიც არაფერს საჭიროებენ“ — მდიდართა ძალღებისათვის. გასული წლის დამლევს „ხამაკერ

შლეგერის“ ერთ-ერთ ასეთ მაღაზიაში გაიხსნა უკანასკნელი მოდის ტანსაცმლის გამოფენა ძალღებისათვის: „სალამოს ფრეჯი ბრუკლინით“ (პარიზის ყაიღაზე გამოქორილი), „ქალაქში სატარებელი კოსტიუმი ნაძვისებური ქსოვილით“, „სპორტული კოსტიუმი ქალაქგარეთ სეირნობისათვის“, „ნაზი აღნაგობის“ ძალღებისათვის გამოფენილი იყო საწვიმრები, რეზინის ჩექმები, ყურბიანი ქულები და სხვ.

სინამდვილეში ამერიკის შეერთებულ შტატებში მდიდართა ძალღების ცხოვრება, ისე, როგორც მათი პატრონთა ცხოვრება, უზარუნველყოფილია მილიონობით უბრალო ადამიანების — მშრომელთა მიერ შექმნილი დოვლით.

მეცნიერე ოკეანე

დედამიწაზე ოთხი ოკეანეა: წყნარი, ატლანტიკის, ინდოეთისა და ჩრდილო-ყინულოვანი. არის კიდევ ერთი, მეცნიერე ოკეანე. იგი მულამ ჩვენს ზევით და ჩვენს გარშემოა. ეს არის ატმოსფერო, საჰაერო ოკეანე, რომლის ფსკერზეც ჩვენ ვცხოვრობთ.

პატარობიდანვე შეჩვეული ვართ იმას, რომ ჩვენ გარს გვერტყმის ჰაერი. ჩვენ ვსუნთქვით ჰაერს, არ ვუფიქრებდებით ვი იმას, თუ რა იქნებოდა უჰაეროდ.

მთვარეზე, მაგალითად, არაა ატმოსფერო, და აი როგორ ავიწერა დიდმა რუსმა მეცნიერმა კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკიმ სამყარო მთვარისა თავის ფანტასტიკურ მოთხრობაში „მთვარეზე“: „ცა უფრო მკვი იყო, ვიდრე ყველაზე შავი მელანი, მზე კიდევ უფრო თვალისმომჩრელი სჩანდა: იგი ლურჯი იყო... ვარსკვლავები და პლანეტები არ ციმციმებდნენ და ჰგებდნენ მგ თაღში ჩაქედილ ვერცხლისთავებიან ლურსმინებს... სიჩუმე. უღრუბლო ცა. არა სჩანან არც მცენარეები, არც ცხოველები. უდაბნო — შავი ცის თალითა და ლურჯი მზით“.

და დედამიწაზედაც იგივე იქნებოდა, რომ ისიც მოკლებული ყოფილიყო ატმოსფეროს. ატმოსფერო, საჰაერო ოკეანე — ეს სიცოცხლეა. ჰაერი სჭირდებათ ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებს.


ატმოსფერო — ეს სამოსია ჩვენი პლანეტისა. იგი უნარჩუნებს სითბოს ჩვენს დედამიწას, აძლევს მას (სითბოს) საშუალებას არ განიფანტოს სამყაროს სივრცეში.

ატმოსფერო — ეს სამყაროა ხმებისა, რბილი საღებავებისა, მკრთალი ჩრდილებისა. უატმოსფეროდ დედამიწაზე იქნებოდა მხოლოდ დამარბმავებელი შუქი, შავი ჩრდილები და მკვდრული სიწყნარე.

ატმოსფერო — ეს ამინდია, ეს ღრუბლებია, წვიმაა, თოვლია, სეტყვია — საჰაერო სტრქის ყველა მრავალფეროვანებაა.

აი რატომ იქნებოდა შეუძლებელი სიცოცხლე ატმოსფეროს გარეშე.

ჰაერი შესდგება. აზოტისა, მჟავადისა, წყალბადისა და იშვიათი გაზების შენაერთებისაგან. ჰაერს აქვს წონა და ამიტომ უზარმაზარი ძალით აწევბა იგი დედამიწას. ყოველ კვადრატულ სანტიმეტრზე ჰაერი აწევბა ერთი კილოგრამის ძალით. ადამიანის სხეულს ჰაერი აწევბა 16 ათასი კილოგრამის ძალით. და თუ ადამიანი უძლებს ამ სამონელ დაწოლას, ეს იმდომ, რომ ჩვენი სხეულის შიგნითაც, და ასევე, მცენარეებისა და



ნახტი 1-ლ

ცხოველების შიგნიდან არის ჰაერი, ეს, „ში-ნაგანი“ ჰაერი სამუდამად არ აძლევს „გა-რეგანს“ გავგვრისოს ჩვენ.

რაც უფრო მაღლა ავდივართ, მით უფრო ნაკლები ჰაერია ჩვენს ზევით და მით უფრო ნაკლებია მისი დაწოლა. ორი ათასი კილომეტრის სიმაღლეზე არის ჰაერი, მაგ-რამ იგი იქ ძალიან ცოტაა.

მზის სხივების ნიაღვარი მოისწრაფის დე-დამიწისაკენ. ჰაერი თავისუფლად ატარებს მას. ამ გატარების შედეგად ჰაერი თითქმის არ ხურდება. მზის სხივები ახურებენ მხო-ლოდ დედამიწას, გახურებული დედამიწა კი იძლევა სითბოს. აი ეს სითბო ათბობს ჰაერსაც. რაც უფრო მაღლა მივდივართ დე-დამიწიდან, მით უფრო ნაკლებია სითბო და, მამასადავ, მით უფრო ცივი ხდება ჰაერი. მაგალითად, 11 კილომეტრის სიმაღლეზე ჩვენს მხარეში, ხოლო 18 კილომეტრის სი-მაღლეზე ეკვატორზე სითბო დედამიწიდან ვეღარ აღწევს. ამიტომაც აქ 55° ყინვა მე-ფობს. აღრე ფიქრობდნენ, რომ ეს არის მუდმივი სიცივის სამეფო. მას დაარქვეს სტრატოსფერო. სთვლიდნენ, რომ სტრატოს-ფეროში ტემპერატურა არ იცვლება, ჰაერა მასში უძრავია და აქვს ფენები. ქვევით მძი-მე აზოტი, მაღლა — მიმე შეკვდილი, უფრო მაღლა — წყალბადი და ა. შ. აქედან წარმო-იშვა სახელწოდება — სტრატოსფერო, — სიტყვიდან — „სტრატუმ“. რაც ფინას ნიშ-ნავს. ხოლო საჰაერო ოკეანის იმ ნაწილს, სა-დაც ტემპერატურა იცვლება, უწოდებენ ტროპოსფეროს.

ტროპოსფეროში უკვე დიდი ხანია ფრენენ თვითმფრინავები და საჰაერო გონდოლები, ამიტომაც ტროპოსფერო კარგადაა შესწავ-ლილი. ახლა ადამიანებმა იწყეს თვით სტრ-ატოსფეროშიც შექრა. იქ აშეგებულ იქნა ხელ-საწყობები — დიდი სიმაღლეების პატარა მზიერავეები.

პირველ ნახაზე თქვენ ჰხედავთ საჰაერო ოკეანის შესასწავლად ჰაერში აშეგებულ თვითმფრინავს, სტრატოსტარს, საჰაერო ბურთს. შოშუნას... მათზე მოთავსებულია ხელსაწყობები, რომლებიც აღნიშნავენ ჰაე-რის ტემპერატურას, ქარს და ატმოსფეროს დამახასიათებელ მრავალ სხვა ნიშანს. ეს სა-ჰაერო მოსალოდნელი ამინდის წინასწარ გა-მოსაკრევედაც.

საბჭოთა ჰაეროსტატები დიდ სიმაღლეზე ფრინენ. აეროსტატმა „სსრკ — ვრ—794“-მა ამასწინათ მსოფლიო რეკორდი დაამყარა — აფრინდა 12.100 მეტრის სიმაღლეზე; გვირ-



ნახატი 2-ე

მა საბჭოთა სტრატონავებმა 22 კილომეტ-რის სიმაღლესაც მიადწიეს სტრატოსფერო-ში გაფრენისას; ხოლო პატარა საჰაერო გონდოლები უეკიბაოდ, ავტომატური ხელ-საწყობით, 43 კილომეტრამდეც აფრინდნენ. საბჭოთა კავშირში იქნა გამოგონებული, აშეგებული და ჰაერში აშეგებული მსოფლიო-ში პირველი რადიოზონდი — ატმოსფე-როს შემსწავლელი პატარა ლაბორატორია. ამჟამად საბჭოთა ინჟინრებმა და გამოგო-ნებლებმა ააგეს ახალი ავტომატური რადიო-ზონდი, რომელიც სულ 750 გრამს იწონის. ხოლო რადიოზონდისათვის გადამცემი მოწყობილობა — 22 გრამს.

დიდი სიმაღლეების შესასწავლად მხარე-ბაში შემოდის საჰაერო ოკეანის მეორე მხვე-რავი — შოშუნა, რომლის იდეა ციოლკოე-სკის იტყუენის. ამ ატმოსფეროს მკვლევარ შოშუნას მართავენ ავტომატურ ხელ-საწყობები ან რადიოთი და ადის 200 და ზოგჯერ მეტი კილომეტრის სიმაღლეზე.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რაც უფრო მაღ-ლა ავდივართ ჰაერში, მით უფრო ცივდება ტემპერატურა. მაგრამ ეს თანმიმდევრობა შემდეგ ირღვევა. გამოიკვია რომ სტრატოს-ფეროში არა მართო ცევა. არამედ ცხელა კიდე. 35-50 კილომეტრის სიმაღლეზე ტემ-პერატურა ადის +60-70°-მდე. შემდეგ, ზე-ვით, კვლავ დგება სიცივე და 80 კილომეტ-რის სიმაღლეზე უკვე ასგრადუსიან ყინვას ვაწყდებით, 100 კილომეტრის სიმაღლედან დაწყებული, ზევით, ტემპერატურის სწრაფი მომატება ხდება. 200-300 კილომეტრზე ტემპერატურა, როგორც ფიქრობენ, +600-700 გრადუსს აღწევს.

სტრატოსფეროსა და უფრო მაღლა (იონო-სფეროში) ასეთ მაღალ ტემპერატურას იწ-ვევს ოზონი — შეკვებდის მონათესავე გაზი.

ბ. ლიპაუნოვი

სამკურნალო მცენარეები

სამკურნალო მცენარედ წოდებულია ისეთი მცენარე, რომელიც ზრდის პერიოდში იგრძობენ სასარგებლო ნივთიერებებს: ალკალიოიდებს, გლუკოზიდებს, საჰონინებს, ნახშირწყლების, გუმფისების და სხვა ამგვართა სახით. რომლებიც მცირე დოზებში სამკურნალო საშუალებაა, ხოლო დიდ დოზებში წარმოადგენენ შხამებს.

— მაშ, სამკურნალო მცენარეები შხამიანებიც ყოფილა! — იტიხზეთ ალბათ.

— დაიხ. ეს არ უნდა გაგვიკვირდეთ, ბევრი მათგანი შხამიანია და ამისათვის მათი შეგროვების დროს ფრთხილად უნდა იყოთ, კრეფის შემდეგ დაუბანელი ხელით თვალს ან პირს არ უნია შეეხეთ, რადგან შეიძლება მოიწვამლოთ, ან ერთი კვირით მხედველობაც დაჰკარაოთ. ასეთ მოსაფრთხილებელ მცენარეთა შორის აღსანიშნავია შმაგა ანუ გიჟანა, ლემა, ლენციოფა...

გიჟანა იზრდება ნაკად ტყეში ან ისეთ გამჩხირებულ ტყეში, სადაც მზის სხივები დიდამწამდღოთ ავისუფლად აღწევენ. შმაგა ტყის პირასაც იზრდება. მისი სიმადლე სამუალოდ მეტრანახევარი, ორი მეტრია, განიერი ფოთლები აქვს და ალუმბოსტორი ნაყოფი, მაგრამ მომწამლედი,—მისი ჭამა არ შეიძლება, არც ამ ნაყოფით დასერილი ხელით უნდა შეეხთ სახეს. თვალს. ეს ნაყოფი შეიცავსნივთიერება ატროპინს, რომელიც დიდ დოზებში

შხამს წარმოადგენს, ხოლო მცირე დოზებში იხმარება როგორც ტკივილების დამაყუჩებელი და თვალის სამკურნალო საშუალება. ამ ნივთიერების ატროპინის მისაოებად მთლიან მცენარესაც იყენებენ, მაგრამ ძირითადად მაინც მის ფოთლებს აგროვებენ. ლეროს ქვედა ფოთლები უფრო განიერი და დიდი ზომისაა, ვიდრე კენწერული. აგროვებენ ზრდასასროლებულ განიერ ფოთლებს, რომლებიც ხშირად დაცხრილულია. —ეს მწერების ნაჭამი ფოთოლია, მაგრამ მწერი ამით ვერ ართმის ფოთოლს სამკურნალო თვისებას, რადგან ატროპინი ძირითადად ზრდასასროლებული ფოთლების ძარღვიებიდან მიიღება. ამ მკურნარეს ხშირად ე. წ. ჰიაფერას ამსგავსებენ. ჰიაფერას ფოთლების შერევა შმაგას ფოთლებში ყოველად დაუშვებელია.

ფოთლების შეგროვება უნდა მოხდეს მზიან ამინდში, როდესაც ფოთლებზე ნამი აკრიაფება. მოკრედილი ფოთლები უნდა დაგროვდეს კალათებში ისე, რომ მზემ არ დააცხუნოს და არ ჩახურდეს. მოკრედილი ფოთლები მისივე გასაშრობად უნდა თხლად გაუფინოთ. სუფთა ტილოზე ან ქაღალდზე, უმჯობეო ადგილას, ისე, რომ მას ოდნავი გამკრავი ქარი უნდაივბდეს. ამ მიზნით ყველაზე უკეთესია სახლის სხეენები. გაფენილი ფოთლები ყოველ საღამოს უნდა აურიოთ და გაღა-



შმაგა

ვებრუნოთ, სანამ კარგად არ გახმება. მზა ფოთლები ხელში არ უნდა იფხენებოდეს და ბუნებრივი ფერი შერჩენილი უნდა ჰქონდეს. მზა ფოთლებს სუფთა კალათებში ან ტომრებში ვაწყობთ და ვაბარებთ აფთიაქს.

ლემა. ესეც, მსგავსად შმაგასი, შხამიანია, იზრდება ნაკვიან ადგილებზე, ერთ მეტრამდე სიმაღლისაა. აქვს კოლოფის ფორმის ნაყოფი, რომელსაც ეკლისებური ბუსუსები აყრია გარს. ისხამს თეთრ, ძაბრისებურ ყვავილებს და მოჭ-მწვანე ფოთლებს. სამკურნალოწამლო ფოთლებს აგროვებენ მის ფოთლებს, მსგავსად ახმოებენ იმავე



ლემა

წესით, მხოლოდ ამ განსხვავებით, რომ სადაც ღემას ფოთოლია გაშლილი, იქ დიდი ხანი დგომა ან ძილი არ შეიძლება, რადგან ღემას ფოთლის სუნი ადამიანს აბრუებს და ათრობს. ღემას ხმელ ფოთლებს მედიცინაში სასუნთქავე გზების დაავადებათა წინააღმდეგ ხმარობენ, ხოლო თესლიდან ატროპინს იღებენ.

ღენცოფა. ესეც სამკურნალო, მაგრამ ამავე დროს შხამიანი მცენარეა. მსგავსად ღემასი, ნაგვიან ადგილებზე იზრდება ერთი მეტრის სიმაღლემდე. ორწლიანია. პირველ წელს ისხამს როზეტებს, რომლებიც ფორმით კვერცხისნაირია და გრძელ ყუნწებზეა გამოსხმული. მეორე წელიწადს ვითარდება დატოტვილი ღერო, რომლის ძველი ფოთლები უფრო დიდებია ვიდრე კენჭურული, ნაყოფი კოლოფისებურია. აგროვებენ როგორც პირველი წლის, ისე მეორე წლის მცენარის ფოთლებს, რომელთა სუნი პირველად გამაბრუებელია, მაგრამ გაშრობის შემდეგ ჰარავას მას. ფოთლების შეგროვება იმავე წესით ხდება. რომელიც უკვე აღენიშნეთ შხამს აღწერის დროს. ღენცოფა ფოთლებისაგან იღებენ ზეთს, რომელიც მედიცინაში იხმარება როგორც გარეგანი სამკურნალო, როგორც ტყვილების დამაყუჩებელი საშუალება.

გარდა შხამიანებისა, მოიპოვება არაშხამიანი სამკურნალო მცენარეები, რომლებიც მოკრეფის დროს საშიში არ არის. ასეთებოლან აოსანიშნაია **კატბაღაზა**. იგი მეტრი-მეტრნახევარი სიმაღლისა იზრდება. მის კენ-



ღენცოფა

წეროს ამშვენებს მკრთალი ვარდისფერი ყვავილები, რომლებიც შეკრებილი არიან ფარისებურ საგველა ყვავილედში. მრავალწლიანი მცენარეა. აქვს ფესვურები და ფრთხილ ფოთლები. იზრდება როგორც ტყეში ისე მინდვრად მშრალსა და ნესტიან ადგილებში, აგრეთვე ფერდობებზე და ვაკე ადგილებზე. მედიცინაში იყენებენ მის ფესვურებს, რომლისგანაც ამზადებენ ნერვეული სისტემის დამამშვიდებელ საშუალებას. ჩვეულებრივად აგროვებენ ყვავილობაში მყოფი მცენარის ფესვურების ნაწილს. ფესვურების ნაწილს მომავალი წლისათვის სტოვებენ მიწაში, რათა მცენარე

შენარჩუნებულ იქნას და საქვებით არ განადგურდეს.

არაშხამიანი სამკურნალო მცენარეა აგრეთვე **წითელი გვირილა**. რაქაში ამ მცენარეს კაქული ჰქვია. იზრდება ნახევარ მეტრამდე სიმაღლისა. მრავალწლიანი მცენარეა, ნაკლებად დატოტიანებული. კენჭეროზე გამოიხსნება ხოლმე ცალკეული კალათა ყვავილედი. მედიცინაში იყენებენ გვირილას გაუმლულ ან ახლად გაშლილ კოყრებს, რომელიც ჩვეულებრივი წესით უნდა მოიკრიფოს და გაშრეს. მისგან იღებენ ფხვნილებს და ექსტრაქტს, ხმარობენ პარაზიტებისა და კოლოების მოსასობად.

სხვა სამკურნალო მცენარეებზე შემდეგ მოგიხსნობთ.



კატბაღაზა



გვირილა

ხუარბ შეხველი

გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს მ ა ი ს ი

სიტყვები შ. მილორავას მუსიკისათვის. ნოტი იხილეთ
გარეკანის შესაშვ გვერდზე.

შენ სალამი, თვალებუფუნა,
გამარჯვების მაისო!
სახეიშო ხმები ისმის
გული ლხენით აივისო!
გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს,
ვინც სწორი გზით ვვატარებს,

ვინც მშობლიურ მზრუნველობით
თავს გვევლება პატარებს;
ვინც შემუსრა, მოსპო მტერი
ქვეყნის გადასარჩენად,
იცოცხლოს და იდღეგრძელოს,
დაელოცოს მარჯვენა!

ილია სინარულიძე



შ ი ნ ა ა რ ს ი

მშვიდობისათვის (წერილი)	გვ. 1
ა. ზანგურაშვილი — ყანა (ლექსი)	2
ბ. ქველიძე — წიგნის ბელი (მოთხრობა)	3
ვ. გოგოლაშვილი — მშვიდობით, სკოლის თეთ- რო კედლებო (ლექსი)	6
გ. მიქელაძე — სამგორის ველზე (ლექსი)	7
დ. გაიღარი — ცხელი ქვა (ზღაპარი. თარგმანი ილ. სინარულიძისა)	8
ე. ჯაბუშაშვილი — მწვეფის ვიგი (ლექსი)	11
თ. სახოკია — კაცის ხესთან (მოგონება)	12
ზ. ფორჩხიძე — მშობილები (პოემა)	15
თ. საჯავა — შიორსი (წერილი)	20

ბ. საჩინელი — სწავლასა და სპორტში გამარ- ჯებულნი (წერილი)	21
ვ. ანანიანი — ახალგაზრდა მონადირე (მოთ- ხრობა. თარგმანი არ. დავითიანიისა)	24
ბ. ბეთანელი — მთაწმინდა (ნარკვევი)	25
ბ. ლიაპუნოვი — მესხეთე ოკუპანე (წერილი)	28
ზ. შენგელია — სამკურნალო მცენარეები (წერილი)	30
გარეკანის შესაშვ გვერდზე შ. მილორავას მუსიკა „გამარჯვების მაისი“ (სიტყვები ილ. სინარულიძისა). გარეკანის მხატვრობა შესრულებულია მხატვარ გ. ფოცნიშვილის მიერ. გარეკანის მეოთხე გვერდზე ნახატი — „ნორჩი ტუ- რისტები“ — ეკუთვნის, მხატვარ შ. მყაუშვილს.	

რედაქტორი გ. კახიანიძე. სარედაქციო ადგილი: ე. აბლაძე, დ. გვირიტიშვილი, ვ. მარ-
ღიაშვილი, გ. თაფრიშვილი, გარეკანი, მ. მირიანაშვილი, ი. ნიჟარაძე, ზ. შინგელია
პასუხისმგებელი რედაქციის მ. თორაძე. საზაგვარო რედაქტორი გ. ფოცნიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. 3-81-85

№ 04883 ტირაჟი 7000 გამომცემლობის შეჯ. № 77 სტამბის შეჯ. № 884
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.
ფურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.



